

ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი

18 წლის

ქ.ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლა

მე -XI კლასი

წერილი ევროპელ თანატოლს - დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

ძვირფასო მეგობარო,

მოგესალმები საქართველოდან – პატარა, მაგრამ ისტორიულად მდიდარი და თავისუფლებისმოყვარე ქვეყნიდან. მინდა გიამბო იმ გზის შესახებ, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობისაკენ განვლო. ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური ისტორია – ეს არის ადამიანთა შინაგანი ბრძოლის, ძიების და თვითშეცნობის ამბავი.

საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა. ჩვენთვის ეს დიდი სიხარულისა და იმედის მომცემი დღე იყო, თითქოს დიდი ხნის მონობის შემდეგ დავუბრუნდით საკუთარ თავს. მაგრამ მალევე მივხვდით, რომ დამოუკიდებლობის მოპოვება მხოლოდ დასაწყისი იყო. ქვეყანა აღმოჩნდა სიღარიბეში, პოლიტიკურ არასტაბილურობაში და სამოქალაქო დაპირისპირებაში. თავისუფლებისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო.

დამოუკიდებლობამ მოგვცა საკუთარი ხმის უფლება – შეგვეძლო გვეფიქრა, გველაპარაკა და გვემოქმედა ისე, როგორც თავად გვინდოდა. თუმცა, საბჭოური მემკვიდრეობა – მონობის გრძნობა, ფიქრის ერთგვაროვნება, შიში – ჯერ კიდევ რჩებოდა ჩვენს გონებაში. ეს ყველაზე რთული გადასალახი აღმოჩნდა.

დღეს, როგორც დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული მოსწავლე, ვხედავ, რომ ჩემი თაობა სულ უფრო მეტად ეუფლება თავისუფალი აზროვნების უნარს. ვსწავლობთ ჩვენს ისტორიას, ვაფასებთ თავისუფლებას და ვცდილობთ, უკეთესი ქვეყანა ავაშენოთ. ჩვენთვის ევროპული ღირებულებები – დემოკრატია, სამართლის უზენაესობა, ადამიანის უფლებები – სულ უფრო ახლობელი ხდება. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ ვეძებთ. ხშირად ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევები ახშობს საზოგადოების თავისუფლებას. ხშირად ადამიანები გრძნობენ, რომ მხოლოდ ფორმალურად არიან თავისუფლები. თუმცა, რაც მთავარია – ჩვენ აღარ ვუშინდებით კითხვების დასმას, ახალი იდეების გამოთქმას და უკეთესი მომავლის წარმოსახვას. ევროპისკენ სვლა ჩვენი ეროვნული არჩევანია.

ეს არის გზა, რომელიც არ გულისხმობს უბრალოდ კავშირს გეოგრაფიულ სივრცესთან – ეს ნიშნავს ფასეულობების გაზიარებას. ევროპა ჩვენთვის თავისუფლების კულტურაა, და ჩვენ ვცდილობთ, სწორედ ამ კულტურას ვეზიაროთ, ასე რომ, მეგობარო, ჩვენი გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე ჯერ კიდევ გრძელდება. თუმცა ყოველდღე ვგრძნობთ, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებით იმ თავისუფლებას, რომელიც ჩვენს სულშია და რომლისთვისაც მრავალი თაობა იბრძოდა.

სიყვარულით საქართველოდან.

From Independence to Freedom

Dear friend,

Greetings from Georgia – a small, yet historically rich and freedom-loving country. I want to tell you about the journey our country has gone through to achieve independence. This is not just a political history; it is a story of the inner struggles, searches, and self-discovery of our people.

Georgia became an independent state in 1991, after the dissolution of the Soviet Union. It was a day of great joy and hope for us, as if we had returned to ourselves after a long period of bondage. But soon we realized that gaining independence was just the beginning. The country found itself in poverty, political instability, and civil unrest. The fight for freedom was still ahead of us.

Independence gave us the right to have our own voice – we could think, speak, and act as we wished. However, the Soviet legacy – the sense of servitude, uniform thinking, fear – still remained in our minds. This was the hardest obstacle to overcome.

Today, as a student born in an independent Georgia, I see that my generation is increasingly mastering the ability to think freely. We are learning our history, appreciating freedom, and trying to build a better country. For us, European values – democracy, the rule of law, human rights – are becoming closer and more familiar.

But I must admit, true independence is still something we are searching for. Often, economic and political challenges suppress the freedom of society. People often feel that they are only formally free. However, what matters most is that we are no longer afraid to ask questions, express new ideas, and imagine a better future.

Our path towards Europe is our national choice. This is a path that is not just about a geographical connection – it means sharing values. Europe, for us, is the culture of freedom, and we strive to embrace that culture.

So, dear friend, our journey from independence to freedom is still ongoing. But every day, I feel that step by step, we are getting closer to the freedom that is in our souls and for which many generations have fought.

With love from Georgia.